

ს.ს. ზემინ ტექნოლოგიის ულუსლარარასის საქართველოს ფილიალის
2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

ს.ს. ზემინ ტექნოლოგიის ულუსლარარასის საქართველოს ფილიალი (ს/კ 44,408611)
ფინანსური ანგარიშგება 2018

ს.ს. ზემინ ტექნოლოგიის ულუსლარარასის საქართველოს ფილიალი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

	კომ.	31.12.18	31.12.17
გრძელვადიანი აქტივები			
წმინდა ფიქსირებული და არაფიქსირებული აქტივები	3	142,088.88	211,625.19
		142,088.88	211,625.19
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მარაგები		124,377.09	183,942.57
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	1,151,200.47	1,929,197.90
ფული და ფულადი ექვივალენტები	5	627,329.99	168,731.20
		1,902,907.55	2,281,871.67
		2,044,996.43	2,493,496.86
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		(1,717,555.74)	(561,853.93)
რეზერვები და დაფინანსება		(8,068.32)	(8,068.32)
		(1,725,624.06)	(569,922.25)
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6	3,738,902.26	3,007,594.98
საგადასახადო ვალდებულებები		31,718.23	55,824.13
		3,770,620.49	3,063,419.11
		2,044,996.43	2,493,496.86

დირექტორი

თაშქინ თარი

ბუღალტერი

ირმა აბუსერიძე

ს.ს. ზემინ ტექნოლოგიის ულუსლარარასის საქართველოს ფილიალი

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარი)

	კომ.	2018
მოგება/(ზარალი) სამეურნეო ოპერაციებიდან		
ამონაგები მომსახურებიდან და საქონლის რეალიზაციიდან	7	3,394,117.58
მომსახურების და საქონლის თვითღირებულება	8	(3,622,130.91)
სხვა შემოსავლები	9	224,061.16
მიწოდებისა და ადმინისტრაციული ხარჯები		(958,113.78)
სხვა ხარჯები	10	(95,630.91)
მოგება დაბეგვრამდე		(1,057,696.86)
მოგების გადასახადი		(36,847.21)
წმინდა მოგება/(ზარალი) სამეურნეო ოპერაციებიდან		(1,094,544.07)
სხვა სრული შემოსავლები		
საკურსო სხვაობის წმინდა ექვეტი		(61,157.74)
		(61,157.74)
მთლიანი სრული შემოსავალი		(1,155,701.81)

დირექტორი

თაშქინ დარი

ბუღალტერი

ირმა აბუსერიძე

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარი)

	2018
პერიოდის მოგება/(ზარალი)	(1,155,701.81)
საოპერაციო საქმიანობა	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	777,997.43
მარაგები	59,565.48
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	731,307.28
გადასახადები	(24,105.90)
	1,544,764.29
საინვესტიციო საქმიანობა	
ძირითადი საშუალებების ცვლილება	69,536.31
	69,536.31
ფულადი სახსრების წმინდა ცვლილება	458,598.79
საწყისი ფული	168,731.20
საბოლოო ფული	627,329.99

დირექტორი

თაშქინთარი

ბუღალტერი

ირმა აბუსერიძე

ს.ს. ზემინ ტექნოლოგიისი ულუსლარარასის საქართველოს ფილიალი

ს.ს. ზემინ ტექნოლოგიის ულუსაარასის საქართველოს ფილიალი (ს/კ 445408611)
 ფინანსური ანგარიშგება 2018

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (ლარი)

	რეზერვები და დაფინანსება	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	(8,068.32)	(561,853.93)	(569,922.25)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
მიმდინარე პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	(1,155,701.81)	(1,155,701.81)
რეზერვები და დაფინანსება	-	-	-
	-	(1,155,701.81)	(1,155,701.81)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	(8,068.32)	(1,717,555.74)	(1,725,624.06)

დირექტორი

თაშქინ თარი

ბუღალტერი

ირმა აბუსერიძე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

ს.ს. ზემინ ტექნოლოგიის ულუსლარარასის საქართველოს ფილიალი რეგისტრირებულია 2012 წლის 19 აპრილს. ფილიალის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. 2.

ფილიალის ძირითადი ქვაბულის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან ან/და მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ოფისის აღჭურვილობა 20%;
- სატრანსპორტო საშუალებები 20%;
- მანქანა-დანადგარები 15%.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით 15%-ანი განაკვეთით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული

აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. წმინდა ფიქსირებული და არაფიქსირებული აქტივები

	31.12.2017	მიღება/(გასვლა)	31.12.2018
ისტორიული ღირებულება			
მანქანა დანადგარები	173,424.33	(62,081.06)	111,343.27
ოფისის აღჭურვილობა	40,867.27	(4,161.75)	36,705.52
სატრანსპორტო საშუალებები	106,543.91	(62,084.21)	44,459.70
არამატერიალური აქტივები	3,272.25	-	3,272.25
	324,107.76	(128,327.02)	195,780.74
აკუმულირებული ცვეთა			
მანქანა დანადგარები	(42,872.49)	17,516.18	(25,356.31)
ოფისის აღჭურვილობა	(19,247.42)	3,258.07	(15,989.35)
სატრანსპორტო საშუალებები	(49,699.05)	38,353.67	(11,345.38)
არამატერიალური აქტივები	(663.61)	(337.21)	(1,000.82)
	(112,482.57)	58,790.71	(53,691.86)
საბალანსო ღირებულება			
მანქანა დანადგარები	130,551.84	-	85,986.96
ოფისის აღჭურვილობა	21,619.85	-	20,716.17
სატრანსპორტო საშუალებები	56,844.86	-	33,114.32
არამატერიალური აქტივები	2,608.64	-	2,271.43
	211,625.19	-	142,088.88

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2018	31.12.2017
სავაჭრო მოთხოვნები	1,147,194.12	1,925,461.74
გაცემული ავანსები	4,006.35	3,736.16
	1,151,200.47	1,929,197.90

5. ფული და ფულადი ექვივალენტები

	31.12.2018	31.12.2017
ნაღდი ფული	19,754.50	35,469.40
ფული ბანკში	607,575.49	133,261.80
	<u>627,329.99</u>	<u>168,731.20</u>

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2018	31.12.2017
ვალდებულებები მომწოდებლებთან	3,738,902.26	3,007,594.98
	<u>3,738,902.26</u>	<u>3,007,594.98</u>

7. ამონაგები მომსახურებიდან და საქონლის რეალიზაციიდან

	2018
ამონაგები მომსახურებიდან	3,394,117.58
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან	108,511.50
	<u>3,502,629.08</u>

8. მომსახურების და საქონლის თვითღირებულება

	2018
მომსახურების თვითღირებულება	3,256,456.67
საქონლის თვითღირებულება	365,674.24
	<u>3,622,130.91</u>

9. სხვა შემოსავლები

	2018
ინვენტარიზაციით დადგენილი სასაქონლო მარაგების ზედმეტობა	13,991.33
კრედიტორის ჩამოწერა	101,558.33
	115,549.66

10. სხვა ხარჯები

	2018
დებიტორული მოთხოვნის ჩამოწერა	67,549.30
პირგასამტეხელო	28,081.61
	95,630.91

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია
 2019 წლის 12 თებერვალი.